საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/106 2.12 2021 წ.

MES 3 21 0001294919

02/12/2021

## პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის და მათ მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დამტკიცების შესახებ

2021 წლის მიღების პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე ადმინისტრაციული რეგისრაციისათვის უნივერსიტეტში პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის(ატესტატის) ასლი დედანის წარმოდგენით ან ატესტატის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი. ის აპლიკანტები,რომელთაც მიღებული აქვთ პროფესიული და/ან უმაღლესი აკადემიური განათლება, უნდა წარმოადგინონ პროფესიული და/ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის( დიპლომის) ასლი დედანის წარმოდგენით ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი.
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი(დედანის წარმოდგენით);
3. 2 ცალი ფოტოსურათი 3x4-ზე
4. საბუთების მიღება და აპლიკანტის მიერ კონკრეტულ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წერილობითი გამოხატული ნების საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 2021 წლის 9 დეკემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

საფუძველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10.04.2021 წლის №71/ნ ბრძანება „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული

გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“; უნივერსიტეტის რექტორის 30.11.2021 № 01-04/103 (MES 1 21 0001281452) ბრძანება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადების,აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის,აპლიკანტთა შერჩევის თარიღის განსაზღვრის,ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის,ჩარიცხვის თარიღის,პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადებისა და სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ"; პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე